



7616-15-3-2-202008031703



N 15-3/7616

03/08/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ვადიმ ალტმანის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის განხორციელების მიზანშეუწონლობის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველს N5441/20 განცხადებით მიმართა ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა. ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი, უკრაინის მოქალაქე ვადიმ ალტმანი შესაძლოა დაექვემდებაროს ექსტრადიციას რუსეთის ფედერაციაში, რაც, მისი წარსულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მისი წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, 2019 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სასაზღვრო - საიმიგრაციო კონტროლის სამმართველოს სამსახურის მიერ დაკავებულ იქნა რუსეთის ფედერაციის ინტერპოლის მიერ ძებნილი, უკრაინის მოქალაქე ვადიმ ანატოლის ძე ალტმანი.

2020 წლის 30 იანვარს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის შუამდგომლობა ვადიმ ალტმანის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების თაობაზე. ექსტრადირების მომთხოვნი სახელმწიფო ექსტრადირების საფუძვლად მიუთითებდა 2019 წლის 16 ივლისს რუსეთის ფედერაციის შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების სამმართველოს მიერ მიღებულ დადგენილებაზე, რომლის თანახმად ვადიმ ალტმანს ბრალი ედება სხვადასხვა დანაშაულებში.¹

2019 წლის 31 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და არსებითი განხილვის კოლეგიის განჩინებით, ვადიმ ალტმანს შეეფარდა საექსტრადირაციო პატიმრობა 3 თვის ვადით, რომელიც 2020 წლის 29 მარტის ამავე სასამართლოს განჩინებით გაგრძელდა 3 თვის ვადით - 2020 წლის 29 ივნისამდე.

ადვოკატ მარიამ კუბლაშვილის მტკიცებით, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების შემთხვევაში ვადიმ ალტმანი დაექვემდებარება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას, ვინაიდან რუსეთ-უკრაინის შეირაღებული კონფლიქტის დროს იგი მონაწილეობას იღებდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია². საერთაშორისო კონვენციები და ქართული კანონმდებლობა კრძალავს ექსტრადიციას იმ შემთხვევებში, თუკი არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირს დაემუქრება წამების საფრთხე.³

გაეროს წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის თანახმად, არც ერთმა მხარე-სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება („refouler“) ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ იქ მის მიმართ წამება შეიძლება იქნეს გამოყენებული⁴.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახვე მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების

¹ საქმის მასალების თანახმად, ვადიმ ალტმანს ბრალი ედება კრიმინალური დაჯგუფების ჩამოყალიბებასა და მის წევრობაში, ასევე, ნარკოტიკული ნივთიერების არალეგალური გაყიდვისა და გავრცელების რამდენიმე ეპიზოდში.

² საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

³ იხ. გაეროს „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ მე-3 მუხლი, აგრეთვე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴ იხ. გაეროს „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ მე-3 მუხლი.

შემლახავ მოპყრობასთან⁵.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციამ შეიძლება გამოიწვიოს მე-3 მუხლის საფუძველზე საკითხის დაყენება და შესაბამისად, ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის შესაბამისად, როდესაც წარმოდგენილია საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში შესაბამის პირს მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ემუქრება მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისადმი დაქვემდებარების რეალური საფრთხე.⁶ ასეთი პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული პირობების შეფასება კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში. კონვენციის მიხედვით არსებული ან შესაძლო პასუხისმგებლობა არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რისი უშუალო შედეგიც იქნება პირის დაუცველად დატოვება აკრძალული უკანონო მოპყრობის წინაშე“.⁷

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, არ განახორციელონ ექსტრადიცია ან არ გააძეონ პირი, მათ შორის თავშესაფრის მთხოვნელი, რომელიმე ქვეყანაში, როდესაც არსებობს სერიოზული და აშკარა მოტივები იმის სარწმუნებლად, რომ მას ემუქრება რეალური საშიშროება, დაექვემდებაროს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. ...კონვენცია სრულად კრძალავს ისეთ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს, როგორც არ უნდა იყოს მსხვერპლის მიერ ჩადენილი ქმედება“.⁸

ამრიგად, ექსტრადიციის საკითხის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებრივი გარანტიების დაცვას პირის მიმღებ სახელმწიფოში. ექსტრადირების განმახორციელებელმა სახელმწიფომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს გადასაცემი პირის მიმართ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების რისკი.⁹ რისკის შესაფასებლად აუცილებელია პირის მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარების გათვალისწინება.¹⁰

წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების საფრთხის რეალურობა

განმცხადებელმა წარმოადგინა „ომის, შეიარაღებული ძალების ინვალიდთა და საომარი მოქმედებების მონაწილეთა სრულიად უკრაინის ორგანიზაციის ოდესის საოლქო ორგანიზაციისა“ და სხვადასხვა სამოქალაქო პირთა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც თან

⁵ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ, პარა. 67.

⁷ იქვე.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, პარა. 335.

⁹ იქვე, ასევე იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარა. 73-74, სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარა. 88-91; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, პარა. 69-70.

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, პარა. 337; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, პარა. 76.

ერთვის აღნიშნულ წინადადებას.¹¹ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ვადიმ ალტმანი არის „ომის, შეიარაღებული ძალების ინვალიდთა და საომარი მოქმედებების მონაწილეთა სრულიად უკრაინის ორგანიზაციის ოდესის საოლქო ორგანიზაციის“ წევრი. რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის დროს, ვადიმ ალტმანი მონაწილეობდა მოხალისეთა ჯგუფების შემადგენლობაში და აქტიურ როლს ასრულებდა უკრაინის არმიის აღჭურვა-მომარაგებაში. იგი ეხმარებოდა მოხალისეთა გადაზიდვების განხორციელებას, აორგანიზებდა სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას, ახორციელებდა საწვავისა და საჭირო რესურსების არმიისთვის გადაცემას.

საგულისხმოა, რომ რუსული პენიტენციური სისტემა განსაკუთრებით სასტიკად ეპყრობა მათ, ვინც რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით პრო-უკრაინულ განცხადებებს ავრცელებს. მაგალითისთვის, ოლეგ სენცოვი უკრაინის მხარდაჭერის გამო ხუთი წლის განმავლობაში, უძმომეს პირობებში, ციმბირში განთავსებულ საპატიმრო ბანაკებში იხდიდა სასჯელს.¹² იგი არ იყო ჯარისკაცი, თუმცა ორგანიზებას უწევდა პრო-უკრაინულ აქციებს, რის გამოც, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.¹³ თავისუფლების აღკვეთისას იგი არაერთხელ გახდა მძიმე ფიზიკური თავდასხმების მსხვერპლი, რომლის გამოძიებაზეც რუსეთის პროკურატურა უარს აცხადებდა.¹⁴ 145-დღიანი შიმშილობა მან ძალადობრივი, იძულებითი კვების საფრთხის გამო დაასრულა.¹⁵

ხუთი წლის განმავლობაში ოლეგ სენცოვის გათავისუფლებას ითხოვდა ევროკავშირი,¹⁶ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი,¹⁷ ადამიანის უფლებებზე მომუშავე არაერთი ორგანიზაცია.¹⁸ 2018 წელს სენცოვი ევროპული პარლამენტის პრეზიდენტმა გამოხატვის თავისუფლების სიმბოლოდ მოიხსენია.¹⁹ მიუხედავად ამისა, სენცოვის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, სანამ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის პატიმართა გაცვლა არ მოხდა.²⁰

პატიმართა გაცვლის მეშვეობით, უკრაინაში ასევე დაბრუნდა 24 უკრაინელი მეზღვაური, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ 2018 წლის ნოემბერში დააკავა.²¹ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში, მათ არ ჰქონდათ ადვოკატთან კონფიდენციალურად შეხვედრის შესაძლებლობა, არ ეძლეოდათ წვდომა საკუთარ სამედიცინო დოკუმენტაციაზე, ამყოფებდნენ მძიმე ფსიქოლოგიურ

¹¹ „ომის, შეიარაღებული ძალების ინვალიდთა და საომარი მოქმედებების მონაწილეთა სრულიად უკრაინის ორგანიზაციის ოდესის საოლქო ორგანიზაცია“ - დახასიათება; „ომის, შეიარაღებული ძალების ინვალიდთა და საომარი მოქმედებების მონაწილეთა სრულიად უკრაინის ორგანიზაციის ოდესის საოლქო ორგანიზაცია“ – ინფორმაცია „ომის, შეიარაღებული ძალების ინვალიდთა და საომარი მოქმედებების მონაწილეთა სრულიად უკრაინის ორგანიზაციის“ ოდესის საოლქო ორგანიზაციის საქმიანობის მიზნისა და ამოცანების, ვოლონტიორული მოძრაობის შესახებ, ვოლონტიორი ვადიმ ანატოლის ძე ალტმანის როლისა და მუშაობის, აგრესორისათვის (რუსეთის ფედერაცია) წინააღმდეგობის გაწევაში მისი მონაწილეობის შესახებ; ანტონ ოლექსანდრის ძე ვიშტალის მხარდაჭერის წერილი; მაქსიმ პეტროს ძე გალუსტიანის მხარდაჭერის წერილი,

¹² < <https://nyti.ms/3fg91Qe> > [ნანახია 01.08.2020].

¹³ < <https://bit.ly/3fciMyD> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁴ < <https://bit.ly/39HC2mA> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁵ < <https://bit.ly/30e4CsT> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁶ < <https://bit.ly/316U6mt> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁷ < <https://bit.ly/2PbZqiA> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁸ < <https://bit.ly/3fcQbt9> > [ნანახია 01.08.2020].

¹⁹ < <https://bit.ly/2DhrIFZ> > [ნანახია 01.08.2020].

²⁰ < <https://bit.ly/2XcpuPa> > [ნანახია 01.08.2020].

²¹ < <https://bit.ly/3grYgMd> > [ნანახია 01.08.2020].

კონდიციაში, რაც საკვებისა და ძილის შეზღუდვაში გამოიხატებოდა.²²

კიდევ უფრო მძიმედ შეიძლება შეფასდეს მიკოლა კარპიუკის, უკრაინის კიდევ ერთი მხარდამჭერის, საქმე, რომელიც რუსეთის ფედერაციის ციხეებში მუდმივ ცემაზე, ელექტროშოკით ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ტერორზე აცხადებდა.²³ სერგეი ლიტვინოვს აწამებდნენ მხოლოდ მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო.²⁴

წამების ფართოდ გავრცელებული შემთხვევები, ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მოწოდების მიუხედავად, გამოუძიებელი და დაუსჯელი რჩება. კომიტეტის განცხადებით, წამების შემთხვევების გამოძიებაზე უარი ბოლო 20 წლის დამახასიათებელ პრობლემად იქცა, კიდევ უფრო პრობლემური კი ისაა, რომ კომიტეტის შესაბამის ანგარიშებში მითითებულ მძიმე პრობლემებზე რუსეთის ფედერაციის ორგანოები ადეკვატურად არ რეაგირებენ.²⁵

შესაბამისად, ყირიმის ანექსიის მოწინააღმდეგეთა - როგორც ჯარისკაცთა, ისე - მშვიდობიან მოქალაქეთა მიმართ რუსეთის ფედერაციის მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული, გამოძიების გარეშე მიმდინარე, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სერია ცალსახად მიუთითებს იმ საფუძვლიან ვარაუდზე, რომ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების შემთხვევაში, ვადიმ ალტმანი შესაძლოა დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა მოქმედებებში მისი აქტიური მონაწილეობისა და უკრაინის არმიის მხარდაჭერის გამო.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არსებული კონტექსტისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ექსტრადირების შემთხვევაში, ფაქტობრივად, იკარგება რუსეთის ფედერაციის პენიტენციურ სისტემაში პირის წამებისგან დაცვის შესაძლებლობა. ევროკავშირის, გაეროსა და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევის უშედეგობა კიდევ უფრო ზრდის ვადიმ ალტმანის ექსტრადირების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის უხეშად შელახვის საფრთხეს.

დასკვნა

შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ ვადიმ ალტმანის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს წამება ან/და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმა. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასთან და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, არ მიმართოთ სასამართლოს ბრალდებულ ვადიმ ალტმანის ექსტრადირების დასაშვებობის თაობაზე შუამდგომლობით და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო

²² < <https://bit.ly/3gdp8za> > [ნანახია 01.08.2020].

²³ < <https://bit.ly/3ffwiS4> > [ნანახია 01.08.2020].

²⁴ < <https://bit.ly/2XcpHBW> > [ნანახია 01.08.2020].

²⁵ < <https://bit.ly/2Xg9GL8> > [ნანახია 01.08.2020].

თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რაკი არსებობს გარემოება, რომელიც აშკარად გამორიცხავს პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას, მიმართოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ექსტრადიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების გამოცემის შუამდგომლობით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 22 (ოცდაორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

